განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 14.09.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი : 22.10.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები BA Program in International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკური მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი	აკრედიტებული

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

(ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	(24.09.2012, გადაწყვეტილება N 450)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ხატისაშვილი, ა (ა) იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (უსდ) საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის დეკემბერში საქართველოს კანონმდებდებლობით გათვალისწინებული პროცედურის ფარგლებში აკრედიტაციის საბჭოს იმავე წლის #450 გადაწყვეტილების საფუძველზე.

როგორც ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის დღეს ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გაირკვა, პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა 2018 და 2021 წლებში. 2021 წლის 25 მაისს, სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის შესაბამისი ოქმის საფუძველზე ZOOM შეხვედრის ფარგლებში, პროგრამის განახლებული ვერსია ერთხმად დამტკიცდა 98 დამსწრე წევრის მიერ. სტუ-ს 2021 წლის 7 ივნისის აკადემიური საბჭოს 01-05-04/60 დადგენილებით დამტკიცდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა და მისი ხელმძღვანელები, რაც ძალაში შედის 2021-2022 აკადემიური წლიდან.

აღნიშნული პროგრამის რეაკრედიტაციისთვის განახლების პროცესში განხორციელებული ცვლილებები მიზნად ისახავდა რამდენიმე მიმართულებას: საკადრო ცვლილებებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპონენტში; ტექნიკური ხარვეზების დაკორექტირებას; პროგრამის მიზნების და შედეგების ჩამოყალიბებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისად; სწავლის მეთოდების და შეფასების კომპონენტების გაუმჯობესებას. პროგრამის შინაარსობრივი მხარე გახდა უფრო მრავალფეროვანი ისეთი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დამატების შედეგად, როგორიცაა საქართველოს პოლიტიკური სისტემა, თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია (Modern

International Migration), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექნიზმები (International Mechanisms of Human Rights Protection).
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევით, საერთაშორისო ურთიერთობების დარგის სავალდებულო და არჩევით, ასევე, არასპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს. შეთავაზებულია თავისუფალი კრედიტების კომპონენტი და უცხო ენების კურსები.
აღნიშნული ცვლილებების შედეგად, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ხაზს განსაკუთრებით უსვამს პრაქტიკული კომპონენტის და უნარ-ჩვევების გაძლიერებას. პროგრამის განახლება დაიწყო შრომის ბაზრის ტენდენციების და მოთხოვნების ანალიზის შედგენის შემდგომ.
ინფორმაცია პროგრამაზე და საუნივერსიტეტო სიახლეებზე საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხელმისაწვდომია ნებისმირი მსურველისათვის. ასევე, განხორციელდა საუკეთესო გამოცდილების შესწავლა ისეთი უნივერსიტეტების, როგორიცაა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (უნგრეთი-ავსტრია) და რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი.
აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად პროგრამის მოდიფიცირება და განახლება ხდებოდა მისი ხელმძღვანელების, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ჩართულობით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მის განვითარებაში ჩართული არიან არამხოლოდ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, არამედ სასწავლო პროცესის განმავლობაში. პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის განახლების პროცესის განმავლობაში, ასევე, საკვანძო მნიშვნელობისაა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ზემოთ აღნიშნულ პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელება ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 აგვისტოს ბრძანებას „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ“. ამავე დოკუმენტის საფუძველზე, ექსპერტთა გუნდს გადმოეგზავნა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თავმჯდომარე - ივანნა მაჩიტიძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; წევრი - ირაკლი მანველიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; წევრი - ნინო პატარაია, ევროპის უნივერსიტეტი; სტუდენტ-ექსპერტი - თამარ ხატისაშვილი- აგრარული უნივერსიტეტი) წინამოსამზადებელი შეხვედრა ZOOM პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი კითხვების დაზუსტება აკრედატაციის სტანდარტების მიხედვით.

დღის წესრიგის მიხედვით, დაგეგმილი იყო გასაუბრებები შემდეგ ჯგუფებთან:

● უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
● თვითშეფასების ჯგუფი;
● პროგრამის ხელმძღვანელები;
● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის);
● აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
● პროგრამის სტუდენტები;
● პროგრამის კურსდამთავრებულები;
● პოტენციური და არსებული დამსაქმებლები

ასევე, შემოწმდა განახლებული პროგრამით ბიბლიოთეკაში ლიტერატურის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა. ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულად, ეთიკური ნორმების დაცვით; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში, რათა მიეღო ამომწურავი ინფორმაცია პროგრამის სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

▪ **შესაბამისობაშია შემდეგი ქვესტანდარტები:** 1.1; 2.1; 2.3.,2.5., 2.6.,3.1; 4.1; 4.2; 4.3; 4.4; 5.1; 5.2; 5.3.

▪ **მეტწილად შესაბამისობაშია შემდეგი ქვესტანდარტები:** 1.2; 2.2., 2.4.

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია

▪ **რეკომენდაციები**

1) რეკომენდებულია, უნარების და ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შემთხვევაში, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი ამოღებული იქნას, როგორც შეფასების ერთ-ერთი მეთოდი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალი მიიჩნევს აღნიშნული კომპონენტების დატოვების აუცილებლობას, ორივე კომპონენტი უნდა გახდეს სავალდებულო პროგრამისთვის.
2) სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი საგნების შემთხვევაში, როგორიცაა: საერთაშორისო უსაფრთხოების სასწავლო კურსის შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, კონფლიქტების ანატომია - შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობებში; პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ტრანსფორმაციული პროცესები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - გლობალური პოლიტიკა; პოლიტიკური კომუნიკაციები - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ჩინეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა; თურქეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა.

3) რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება შემთხვევების შესწავლით, სიმულაციებით, მოდელირებებით, დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენით და ა.შ., პროგრამის მიერ სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1) სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგია დაიხვეწოს, რათა უფრო ნათლად გამოიკეთოს არამხოლოდ ტრანსფერული უნარები, არამედ ის დარგობრივი ცოდნა და უნარები, რომლებსაც საკვანძო როლი გააჩნიათ კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებაში.
2) სასურველია უცხო ენების კომპონენტში დონეების დაზუსტება, რადგან არჩევითი კომპონენტის ფარგლებში შემოთავაზებული ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ჩინური და რუსული ენების სასწავლო კურსების დონეები (A1.1., A1.2., A2.1., A2.2.) სავალდებულო უცხო ენებზე (B1.1., B1.2., B2.1., B2.2.) დაბალია.
3) სასურველია, პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკასთან.
4) სასურველია, სასწავლო კურსის ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვალი გაიწეროს კვირების მიხედვით, და არა მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსის ბოლოს;
5) სასურველია, სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა.
6) სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შემადგენელი კომპონენტები, როგორიცაა პრობლემის აღწერა, საკვლევი შეკითხვა, მეთოდოლოგია, და ა.შ.
7) სასურველია, საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტიანი ათვისება და მიღებული ცოდნის სათანადო შეფასება ლექტორის მიერ. საჭიროა შეფასების კომპონენტების და სწავლება-სწავლის მეთოდების მეტი მრავალფეროვნება და ინდივიდუალურად მორგება თითო სასწავლო კურსის შემთხვევაში.

8) სასურველია, მსგავსი ტიპის საკითხების დოკუმენტირებისას, მიეთითოს თარიღები, რაც საშუალებას მისცემს შემფასებლებსა და ჩართულ პირებს, მოახდინონ ჩატარებული გამოკითხვებისა და ანალიზის პერიოდის იდენტიფიცირება.
9) სასურველია, ინსტიტუციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის კვლევა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი პერიოდულობით და მიღებული შედეგები გაანალიზდეს ერთიანი ანგარიშის სახით.

10) სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან დამოუკიდებელ რეაგირების ანგარიშში.
11) სასურველია, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ანგარიშებში მკაფიოდ ჩანდეს, თუ რა კუთხით მოხდა გამოკითხვებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გამოსწორება და რამდენად მოხმარდა ეს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.
12) პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე:

"საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესის ფარგლებში წარდგენილი დასკვნის ძირითადი ნაწილი უცვლელი რჩება.
ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილ პოზიციაში დაწესებულების მიერ მოყვანილი არგუმენტები, რის შედეგადაც მოხდა შემდეგი ცვლილებები:

- რეკომენდაცია „პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდებულია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა" გადატანილი იქნა რჩევების ნაწილში.
- მეორე რეკომენდაციის ფარგლებში, გაუქმებული იქნა „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" წინაპირობის შემოთავაზება „ეკონომიკის პრინციპების" სასწავლო კურსის არჩევითი სტატუსიდან გამომდინარე.

13) **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

---

14) **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. საბაკალავრო პროგრამის დანართი მოიცავს მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკას, რომელიც ადასტურებს ურთიერთკავშირს კომპეტენციებსა და მიზნებს შორის. ჩამოთვლილი სამი მიზანი ასახავს, თუ რა პროცესების და ფართო თეორიულ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რელევანტურ უნარებს და უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ კურსდამთავრებულს ამზადებს აღნიშნული პროგრამა. მისასალმებელია, რომ პროგრამით ასახული მიზნები სრულ შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან, რომელიც ხაზს უსვამს მოქალაქეობრივ ცნობიერებას, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზებას, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობას და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვას. უნივერსიტეტის და სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს, ასევე, აღინიშნა პროგრამის მიზნების მორგების საჭიროება ქვეყანაში არსებულ ახალ რეალობასთან. მოდიფიცირებული საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მიზნების შედგენისას, თვითშეფასების ანგარიშში აქცენტი კეთდება შრომის ბაზრის ანალიზის საკვანძო როლზე. ამავე დროს, პროგრამის მიერ წარდგენილი შრომის ბაზრის ანალიზი საჭიროებს მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას, რათა გამოვლინდეს არამხოლოდ ტრანსფერული, არამედ დარგობრივი უნარების და ცოდნის მოთხოვნები დამსაქმებლების მიერ. საერთო ჯამში, პროგრამაში წარდგენილი კომპონენტების ერთობლიობა, ძირითადად, იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული პროგრამა კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს წარმატებული პროფესიული კარიერა და დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო დაწესებულებებში ან მათ სტრუქტურულ ერთეულებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, და ა.შ. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ გაცნობას ყველა მსურველისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://gtu.ge/AboutStu/Mission.php;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის დანართი 2;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- შრომის ბაზრის ანალიზი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგია დაიხვეწოს, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს არამხოლოდ ტრანსფერული უნარები, არამედ ის დარგობრივი ცოდნა და უნარები, რომლებსაც საკვანძო როლი გააჩნიათ კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები თანხმობაშია პროგრამის მიზნებთან. სწავლის პროცესში, სტუდენტი ეცნობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, პრინციპებს და ძირითად ცნებებს; განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პოლიტიკურ, ინსტიტუციურ, ეკონომიკურ, საერთაშორისო, სამართლებრივ და ინტეგრაციულ პროცესებს, მათ კომპლექსურ ხასიათს. პროგრამა განსაკუთრებით უსვამს ხაზს პრობლემის იდენტიფიცირება-გადაწყვეტილების პროცესის მთლიანობას, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: საერთაშორისო ურთიერთობებში წამოჭრილი პრობლემის განსაზღვრა, მათი გადაწყვეტისათვის აუცილებელი გზები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და შესაძლო შედეგები. ამ მიზნით, პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტის ათვისების შედეგად, კურსდამთავრებულს გაჩნია ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის უნარი საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან, თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებით. განახლებულ პროგრამაში მიერ აქცენტი კეთდება თანამედროვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებაზე. თეორიული ცოდნის გარდა პროგრამა პრიორიტეტად მიაჩნევს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა მოდელირება; ინდივიდუალური თუ გუნდური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამით განსაზღვრულ აუცილებელ უნარებს შორის არის უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული ეთიკის ნორმების გაზიარება და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განახლებაში ჩართულმა პერსონალმა უზრუნველყო რეაკრედიტაციის პროცესში ჩართული დაინტერესებული პირების დოკუმენტაციის წარდგენა, სადაც ნათლად ჩანს მათი ჩართულობა პროცესის ყოველ ეტაპში. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაცია. შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, კურსდამთავრებულთა 85% დასაქმებულია, მათ შორის 15% - არა სპეციალობით ან თვითდასაქმებულია. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: საშუალო ანაზღაურების მზარდობა, დარგში გამოცხადებული ვაკანსიების მაჩვენებელი და დინამიკა. აღნიშნული ინდიკატორების შესწავლა მიუთითებს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობაზე დასაქმების პროცესში. ამავე დროს, შრომის ბაზრის ანალიზი მოითხოვს მეტ მეთოდოლოგიურ სიზუსტეს, რათა გამოიკვეთოს დარგობრივი ცოდნის შესახებ მოთხოვნების თაობაზე მეტი ინფორმაცია, რომლის გამოყენება აუცილებელია პროგრამის მუდმივი და უწყვეტი განვითარების მიზნით. სტუდენტთა სწავლის შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ მექანიზმებს: აკადემიური მოსწრების ანალიზი; გამოკითხვა წინასწარშედგენილი კითხვარით (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებულთა გამოკითხვები); სტატისტიკური მასალის დაგროვება და დამუშავება. საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა სწავლის შედეგებისთვის ადგენს სამიზნე ნიშნულს სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, ცოდნა-გაცნობიერების სწავლის შედეგების შემთხვევაში გათვალისწინებულია რიგი სავალდებულო სასწავლო

კურსებისა, როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, გლობალური პოლიტიკა, საერთაშორისო უსაფრთხოება, ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, საქართველო საერთაშორისო პოლიტიკაში, მოლაპარაკების ხელოვნება, დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, მსოფლიო ეკონომიკა.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული უნარების ათვისების მიღწევების გაზომვა იგეგმება შემდეგი სამიზნე ნიშნულების მეშვეობით: პრობლემის იდენტიფიცირება, სფეროსთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი გზების მოძიება, შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი; შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება და ა.შ. აღნიშნული სამიზნე ნიშნულები ფასდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც მიმართულია სისტემატიური და ობიექტური შეფასებისკენ. ამავე დროს, საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის კომპონენტები, სამიზნე ნიშნულების შემთხვევაში, გამოყენებულია შეფასების ერთ-ერთ მეთოდად უნარების და ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ სავალდებულო სტატუსი.

მისასალმებელია, რომ დამატებით დაინერგა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმი - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. ამავე დროს, უმჯობესი იქნებოდა მეტი ინფორმაციის მოწოდება მონიტორინგის პერიოდულობის შესახებ. ჩატარებული გამოკითხვების შედეგები ეცნობებათ შესაბამის პირებს და, ასევე, გაიცემა რეკომენდაციები ცვლილებების შესახებ. გარდა ამისა, ხორციელდება ლექციების მონიტორინგი (ადრე აუდიტორიაში, ახლა ონლაინ). ყველა აღნიშნული პროცესის შესახებ დგება შესაბამისი ოქმი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დაინტერესებული პირები ფლობენ ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ; სისტემატიურად ეცნობიან ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს და დროულად იღებენ უკუკავშირს პროგრამის ადმინისტრაციის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შრომის ბაზრის ანალიზი;
- სწავლის მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უხრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებებთან, დამსაქმებლებთან;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნარების და ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შემთხვევაში, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი ამოღებულ იქნას, როგორც შეფასების ერთ-ერთი მეთოდი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალი მიიჩნევს აღნიშნული კომპონენტების

დატოვების აუცილებლობას, ორივე კომპონენტი უნდა გახდეს სავალდებულო პროგრამისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. უნივერსიტეტის ფარგლებში პროგრამაზე მობილობა, შესაძლებელია, განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ყოველ წელს იზრდება მოთხოვნა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე, რაც დასტურდება აბიტურიენტების და მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე მისაღები პირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/Learning/pdf/bak_miskonting_1920_SD.pdf წარდგენილია დეტალური ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის ყოველწლიური სწავლის საფასურის, მისაღები სტუდენტების რაოდენობის და ჩასაბარებელი სავალდებულო და არჩევითი საგნების შესახებ. ასევე, თითოეული არჩევითი საგნის ფარგლებში განსაზღვრული ადგილების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული სტუდენტის კონტინგენტის სტატისტიკა დადებითია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ვებგვერდი https://gtu.ge/Learning/pdf/bak_miskonting_1920_SD.pdf; o საკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ფარგლებში. მისი სტრუქტურა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე კრედიტების ჯამური მოცულობით 240 ECTS. წელიწადში გათვალისწინებულია 60 კრედიტის, ხოლო სემესტრში 30 კრედიტის ათვისება. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი ან 4 წელი. სტუდენტების ინდივიდუალური გეგმის შედგენის შემთხვევაში, ასათვისებელი კრედიტების წლიური რაოდენობა, შეიძლება, იყოს 60-ზე ნაკლები, მაქსიმალური რაოდენობაა 75 კრედიტი. საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სავალდებულო სასწავლო კურსები (10 ECTS); სავალდებულო უცხოური ენა - ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული (22 ECTS); სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (108 ECTS), არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (30 ECTS), რაც, ასევე, ითვალისწინებს მეორე უცხო ენას (ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული, ჩინური). სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (70 ECTS), რომელიც, სხვა სასწავლო კურსებს შორის, მოიცავს კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტს. პროგრამით, ასევე, გათვალისწინებულია 15 თავისუფალი კრედიტი, რომლით სარგებლობა

სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსის არჩევის სურვილის შემთხვევაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ხოლო რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში, საჭიროა დაშვების წინაპირობების დაზუსტება: საერთაშორისო უსაფრთხოების სასწავლო კურსი - წინაპირობად დაემატოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, კონფლიქტების ანატომიას - შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშოორისო ეკონომიკური ურთიერთობები - ეკონომიკის პრინციპები; პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ტრანსფორმაციული პროცესები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - გლობალური პოლიტიკა; პოლიტიკური კომუნიკაციები - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ჩინეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა; თურქეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა.

მისასალმებელია, რომ არჩევით კომპონენტად შემოთავაზებულ უცხო ენებს შორის არის, ასევე, ჩინური ენა (A1.1, A1.2., A2.1., A2.2.), რაც ასახავს ჩინეთის მზარდ მნიშვნელობას არამხოლოდ მსოფლიო პოლიტიკის პროცესებში, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ამავე დროს, სასურველია, უცხო ენების კომპონენტში ცვლილებების შეტანა დონეების მიხედვით, რადგან ფრანგული, გერმანული და რუსული ენების შემთხვევაში, არჩევითი კომპონენტის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების დონეები სავალდებულო უცხო ენებზე დაბალია (A1.1., A1.2., A2.1., A2.2.).
მისასალმებელია, რომ თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა თანმიმდევრული და სათანადოდ დაგეგმილი სამუშაო პროცესი პროგრამის შინაარსზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, განხორციელდა მისი შედარება ევროპის, ასევე, საქართველოს უნივერსიტეტებთან საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (უნგრეთი-ავსტრია) და რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული ანალიზის შედეგად მოხდა პროგრამის კომპლექსური გადახედვა, ამავე დროს, სასურველია მეტი სიზუსტე და დადარების კრიტერიუმების შემუშავება, რათა გამოვლენილი საუკეთესო გამოცდილება უფრო ეფექტურად დაინერგოს განახლებულ პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო ქართულენოვანი პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სტუ-ს ვებგვერდი, სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვები;
- სააკრედიტაციო ვიზიტის ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- საგნებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა: საერთაშორისო უსაფრთხოების სასწავლო კურსის შემთხვევაში, წინაპირობად დაემატოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, კონფლიქტების ანატომია - შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ტრანსფორმაციული პროცესები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - გლობალური პოლიტიკა; პოლიტიკური კომუნიკაციები - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ჩინეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა; თურქეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უცხო ენების კომპონენტში დონეების დაზუსტება, რადგან არჩევითი კომპონენტის ფარგლებში შემოთავაზებული ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ჩინური და რუსული ენების სასწავლო კურსების დონეები (A1.1., A1.2., A2.1., A2.2.) სავალდებულო უცხო ენებზე (B1.1., B1.2., B2.1., B2.2.) დაბალია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამაში აღნიშნულ სწავლის შედეგებთან. შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს და კურსის სწავლის შედეგებს. როგორც სპეციალობის, ასევე, არასპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ხარისხის შეფასება სტუდენტების მიერ, რაც იძლევა კურსების შინაარსის, მეთოდოლოგიური მხარის გაუმჯობესების საშუალებას.
ძირითადად, სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში სტუდენტს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს დარგისთვის აქტუალური საკითხები. სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლიტერატურის განახლება ხდება სისტემატიურად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. მისასალმებელია, ინგლისურენოვანი და სხვა უცხო ენებზე ლიტერატურის გამოყენება, კერძოდ, ინგლისურენოვანი საგნების ფარგლებში. ამავე დროს, ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის და ჩატარებული ინტერვიების საფუძველზე, გამოვლინდა უმეტეს შემთხვევაში სასწავლო კურსების ერთგვაროვანი შეფასების კომპონენტების გამოყენება, განსაკუთრებით, სემინარების ნაწილში. აქედან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკასთან. ამის გარდა, წარდგენილი ლიტერატურის გამოყენება მოითხოვს მეტ კონკრეტულობას და გადანაწილებას კვირების მიხედვით. სასწავლო კურსების სილაბუსებში, სასურველია, გაიწეროს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა (კვირები). საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი მოითხოვს ნაშრომის შემადგენელი კომპონენტების, როგორიცაა პრობლემის აღწერა, საკვლევი შეკითხვა, მეთოდოლოგია და ა.შ., დეტალურ აღწერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში;

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკასთან;
- სასურველია, სასწავლო კურსის ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვალი გაიწეროს კვირების მიხედვით, და არა მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსის ბოლოს;
- სასურველია, სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა.
- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შემადგენელი კომპონენტები, როგორიცაა პრობლემის აღწერა, საკვლევი შეკითხვა, მეთოდოლოგია და ა.შ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ტრანსფერული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამას გააჩნია არსებული მრავალფეროვანი სასწავლო კომპონენტებისა და მაღალკვალიფიციური პერსონალის ჩართულობა. ამავე დროს, დაინტერესებული პირების მხრიდან, პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების დამატება, რაც უზრუნველყოფს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების უფრო სიღრმისეულად განვითარებას.
მისასალმებელია, რომ პროგრამაზე მომუშავე პერსონალმა გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია და სათანადო ყურადღება დაეთმო არამხოლოდ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, არამედ სტუდენტების კვლევით უნარებსაც. შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა ისეთი სასწავლო კურსები, რომლებშიც უზრუნველყოფილია პრაქტიკული უნარების ათვისების შეფასების კომპონენტები (მაგ. მოლაპარაკებების ხელოვნება, ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციები). ამავე დროს, ნახსენები სასწავლო კურსების გარდა, სილაბუსების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობა, მაგალითად, შემთხვევების შესწავლა, სიმულაციები, როლური თამაშები, დებატები, კვლევითი პროექტები, საერთაშორისო ურთიერთობების დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენა, და ა.შ.
აღსანიშნავია, რომ დარგობრივი მახასიათებლით ტრანსფერული უნარების მიღწევას ემსახურება პროგრამაში ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსები, როგორიცაა ზეპირი და წერითი კომუნიკაციები და გამოყენებითი ინფორმატიკა. პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს ორი უცხო ენის შესწავლას სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის ფარგლებში. განსაკუთრებით მისასალმებელია უცხო ენების ფართო არჩევანი - ინგლისური ენის გარდა, შემოთავაზებულია როგორც ფრანგული, გერმანული, რუსული, ასევე, ჩინური ენა.
სავალდებულო სასწავლო კურსი შესავალი კვლევის მეთოდებში მოიცავს საბაზისო თეორიულ ცოდნას სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, კვლევის ძირითადი სტრატეგიების, დიზაინების, მონაცემთა ანალიზისა და კვლევის ანგარიშის მომზადების შესახებ. ამავე დროს, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი გათვალისწინებულია, როგორც საბაზისო კვლევითი უნარების განმავითარებული კომპონენტი, შუალედური შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს - თემატურ პროექტს/პრეზენტაციას - სჭირდება მეტი სიზუსტე, თუ როგორ იმუშავებენ სტუდენტები თავიანთ პროექტზე (ინდივიდუალურ დავალებაზე) და პრეზენტაციაზე (ჯგუფურ აქტივობაზე).
ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში როგორც პრაქტიკა, ასევე, საბაკალავრო ნაშრომი წარდგენილია პროგრამის არჩევით კომპონენტად. ამავე დროს, როგორც დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნისას გაირკვა, არცერთ სტუდენტს არ დაუწერია საბაკალავრო ნაშრომი.
დადებითად აღსანიშნავია პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსების დამატება, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის გამოყენებას სასწავლო პროცესის ფარგლებში (International Mechanisms of Human Rights Protection, Modern International Migration). ინგლისურენოვანი კურსები გააღრმავებს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონეს აღნიშნული სასწავლო კურსების მეშვეობით.
ასევე, მისასალმებელია, რომ მიუხედავად პანდემიით შექმნილი პირობებისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ფაკულტეტის და პროგრამის მხრიდან უფრო მეტად განავითარონ

კვლევითი და პრაქტიკული უნარები საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმულაციები, მოდელირებები, სტუდენტური ფესტივალები და ა.შ.) მონაწილეობის შედეგად. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას; ზრდის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს მათთვის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების სახით. ფაკულტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, როგორც ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ასევე, საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებთან. არსებული მემორანდუმების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის, საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სტუდენტთა პრაქტიკული, ტრანსფერული და დარგობრივი უნარების განვითარება/გაძლიერების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკის საგანი პროგრამაში წარდგენილია, როგორც არჩევითი კომპონენტი, პროგრამის მიერ უზრუნველყოფილია დამსაქმებლებთან მემორანდუმები/ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება პრაქტიკის გავლა სტუდენტების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო ქართულენოვანი პროგრამა და სილაბუსები; o სტუდენტთა მივლინება უცხოეთის პროექტებში; o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: o რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება შემთხვევების შესწავლით, სიმულაციებით, მოდელირებებით, დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენით პროგრამის მიერ სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწავლება-სწავლის მეთოდების დახვეწას და განახლებას. სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგად, ასევე, გამოიკვეთა აქცენტი შეფასების მეთოდების ცვლილებაზე, პირველ რიგში, მოდელირების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდების, რაც, შესაბამისად, შემდგომ დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოვლინდა ბაკალავრიატის საფეხურთან პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობა. პროგრამაში გათვალისწინებულია შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული, ლაბორატორიული, პრაქტიკა, საკურსო სამუშაო/პროექტი, კონსულტაცია, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა. ამავე დროს, დარგის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, პოლიტიკური, ინსტიტუციური, ეკონომიკური, საერთაშორისო-სამართლებრივი და ინტეგრაციული პროცესების შესახებ ცოდნის ეფექტიანი ათვისების მიზნით, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების უმრავლესობის შემთხვევაში, საჭიროა სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან. სწავლის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ათვისებისათვის, საჭიროა შეფასების კომპონენტების და სწავლება-სწავლის მეთოდების მეტი მრავალფეროვნება და ინდივიდუალურად მორგება თითო სასწავლო კურსის შემთხვევაში.

დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათი რეკომენდაცია სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებასთან, ასევე, ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დამატებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებული იყო განახლებული პროგრამით. გამოკითხვების შედეგად, სტუდენტებმა აღნიშნეს მეტი თანამედროვე, აქტუალური სასწავლო კურსის შემოღებისა და შეფასების მეთოდებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი მეთოდების ჩართვის აუცილებლობა. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია პროგრამაში არსებულ ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში ისეთი აქტივობების გაზრდა, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები.

აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია; o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტიანი ათვისება და მიღებული ცოდნის სათანადო შეფასება ლექტორის მიერ. საჭიროა შეფასების კომპონენტების და სწავლება-სწავლის მეთოდების მეტი მრავალფეროვნება და ინდივიდუალურად მორგება თითო სასწავლო კურსის შემთხვევაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებით და უსდ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად. კერძოდ, პროგრამის სტუდენტის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი მრავალკომპონენ-ტიანი სისტემით (შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა). შუალედური და ფინალური შეფასებისათვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები; შუალედური შეფასებისათვის 30 ქულა 60-დან, ხოლო დასკვნითი გამოცდისათვის - 11 ქულა 40-დან. სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკა.

სასწავლო კურსის სილაბუსები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ონლაინ-პლატფორმაზე (e-learning). ამავე პლატფორმაზე იღებენ შეფასებას სტუდენტები, თუმცა, შეფასების ნახვა ასევე შესაძლებელია მობილური აპლიკაციის მეშვეობით (“GTU Table”). სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს მიღებული შედგები უსდ-ს განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, უსდ-ში შესაბამისი ნორმატიული აქტით (კერძოდ, 2019 წლის 28 ივნისის №01-05-04/177 დადგენილება) რეგულირდება აპელაციის პროცედურა. სტუდენტი უფლებამოსილია შესაბამისი პროცედურების დაცვით, წერილობითი განცხადებით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს. განცხადების შეტანა და სხვა საჭირო პროცედურის გავლა შესაძლებელია ელექტრონულადაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება ეფექტურად, რასაც ადასტურებს ინტერვიუს შედეგები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კონსულტაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. საკონსულტაციო საათების ცხრილი გამოკრულია როგორც უშუალოდ დაწესებულებაში, ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საკონსულტაციო სამსახური, რომელიც სტუდენტებს ეხმარება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხში გარკვევაში, როგორებიცაა მაგ., ფინანსური ვალდებულებები, კრედიტების განაწილება, საგნების არჩევა და ა. შ. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ხელს უწყობს სტუდენტებს და სთავაზობს სწავლების ინდივიდუალურ პროგრამას. სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს ეს შეთავაზება. უსდ-ში არსებობს ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას დასაქმების, კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა, დანერგილია ონლაინ-სასწავლო პლატფორმა e-learning, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამ პლატფორმაზე განთავსებულია სასწავლო მასალა, სილაბუსები. ამავე პლატფორმაზე იღებენ სტუდენტები შეფასებას და ასევე აფასებენ სასწავლო კურსებსა და პედაგოგებს. ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები, მოდელირებები, საჯარო ლექციები და სხვა ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე დამსაქმებლები და თავად სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ ეს პროექტი არის ძალიან კარგი საშუალება სხვადასხვა უნარ-ჩვევის შეძენისათვის. პროექტის ფარგლებში, სტუდენტები სწავლობენ და იკვლევენ პოლიტიკური ძალების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და განიხილავენ მათ შესაბამისობას ქვეყნის ინტერესებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი; o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; o კონსულტაციების ცხრილი; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; o ღონისძიებების ჩატარების ოქმები;

o ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან ინტერვიუმ, ასევე თვითშეფასების დოკუმენტის, პროფესორ მასწავლებლების პირადი საქმეების ანალიზმა მკაფიოდ აჩვენა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამის დასახული მიზნის და მისი შემდგომი განვითარების რესურსი. პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანამშრომლობით ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი, რომელიც გულისხმობს პროფესორ მასწავლებლების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში და სტუდენტების ჩართვას კვლევით პროექტებში, რაც მეტყველებს აკადემიური პერსონალის მაღალ მოტივაციასა და კვალიფიკაციაზე. ვიზიტმა აჩვენა პროგრამის ხელმძღვანელების მაღალი კვალიფიკაცია და ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელების გამოცდილება და სამეცნიერო კვალიფიკაციები უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისათვის კონკურენტულ გარემოს და კოლეგიალურ ატმოსფეროს შექმნას. აკადემიური პერსონალის საქმიანობა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რეგულაციებთან. პროგრამაში მონაწილეობს 45 პერსონალი, აქედან 20 პროფესორია, 15 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 5 ასისტენტი. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში 2 მოწვეული ლექტორი მონაწილეობს. 45 პერსონალიდან 43 აკადემიური პერსონალია, მათგან ყველა აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. აფილირილებული აკადემიური პერსონალის შეფარდება პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან არის 43/420. პროფესორების ეს რაოდენობა 420 სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართავს და პროგრამის მიზნებისა და შედეგების სრულფასოვან განხორციელებას. აკადემიური პერსონალის თითოეულ წევრთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც ასახულია სამუშაოს აღწერილობა, თანამდებობრივი ინსტრუქცია. საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური პერსონალი გარდა სალექციო და სასემინაროს საქმიანობისა, აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევა, რაც ასახულია მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში. აღსანიშნავია ადმინისტრაციის ჩართულობა სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაში. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხარისხის სამსახური, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ინტერესდებიან პროფესორ-მასწავლებლების საჭიროებებით და აკადემიურ პერსონალის მოთხოვნებს სწრაფად და ეფექტურად ეხმაურებიან. აკადემიურ პერსონალი უზრუნველყოფილია უახლესი დარგობრივი და მომიჯნავე ლიტერატურით; წიგნებსა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა ტექნიკურად უზრუნველყოფილია; ფაკულტეტის ბიუჯეტში სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია თანხა (10.000 ლარი) ხოლო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის (40000 ლარი).

ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით და საძიებო სისტემით სათანადოდ არის აღჭურვილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად აკვირდება სოციალურ მეცნიერებების აკადემიურ სივრცეს, ეცნობა ახალ კადრებს და ცდილობს მათ ინტეგრაციას პროგრამაში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, ესენია არიან აკადემიური დეპარტამენტის სპეციალისტი, დეკანატის მთავარი სპეციალისტი, დეკანის მოადგილე, მენეჯერი და სხვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს მაღალ კვალიფიკაციას, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობა სრულებით უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი პროცესების სრულყოფილ წარმართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროფესორ მასწავლებლების კვლაფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- უნივერსიტეტში აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეოდოლოგია;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება და მას ხელს უწყობს: ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული. კვლევითი საქმიანობა ხორციელდება სტრუქტურული ერთეულის აკადემიური დეპარტამენტების და კვლევითი სტრუქტურების კოორდინაციით და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. ინტერვიუმ და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა რომ ფაკულტეტის მიერ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელდა 42 სამეცნიეროკვლევითი პროექტი, სადაც მონაწილეობდა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა ფუნქციები თითოეულ პროექტში კომპეტენციის შესაბამისად იყო განსაზღვრული. კვლევითი საქმიანობის საკონტროლო მექანიზმად გამოიყენება აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში, სადაც ასახულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა. სამეცნიერო საქმიანობა. სამეცნიერო საქმიანობა (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, კონფერენციაში მონაწილეობა, პუბლიკაციის გამოქვეყნება და ა.შ.) მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. საგამომცემლო საქმიანობა. ხდება აკადემიური პერსონალის მონოგრაფიების და სახელმძღვანელობის გამოცემის ხელშეწყობა. ფაკულტეტის ბიუჯეტით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში გამოიცა მონოგრაფიები, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები და გამოიცა საკონფერენციო ნაშრომთა კრებულები. კვლევითი საქმიანობის ანალიზი და შეფასება. შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშით, ამ მიზნით შექმნილია ანალიზისა და შეფასების სისტემა, რომელიც დოკუმენტურად არის აღწერილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და პროფესორების დახელოვნება. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას ხელს უწყობს მაღალრეიტინგულ გამოცემაში პუბლიკაციების გამოქვეყნება. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პუბლიკაციების მონიტორინგს, რაც დასტურდება წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტით და აკადემიური პერსონალის *სივებით*. უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სტრუქტურული ერთეულები და პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავენ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციაზე და სასწავლო პროცესის სრულყოფაზე. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ დაადასტურა

დაწესებულება ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. განსაკუთრებიტ გამოყვეს უცხოეთში ჩატარებული 20 სასწავლო სამეცნიერო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის აკადემიურმა, სამეცნიერო და მოწვეულმა პერსონალმა, მათ შორის მალტაში ჩატარებული ტრენინგი თანამედროვე სწავლის მეთოდების შესახებ, ბარსელონაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სან ფრანცისკოში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია გენდერის საკითხებზე, სამეცნიერო კონფერენცია „ერთი სარტყელი ერთი გზა და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის სამსახურთან; o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; o პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება; o აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; o აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგები; o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების დოკუმენტაცია. -ფაკულტეტის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. ეს მიღწეულია: 1. თანამედროვე საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილი (პროექტორები, სამუშაო მაგიდები და სკამები და ა.შ.) აუდიტორიებითა და საკონფერენციო დარბაზებით; 2. კომპიუტერებით და კომპიუტერული პროგრამებით; 3. ბიბლიოთეკით, რომელიც მუდმივად ივსება ახალი ლიტერატურით და ელექტრონული, ციფრული ბაზებით 4. სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემით ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტები და პროექტები, რომელთა ბაზაზე სტუდენტს შესაძლებლობა აქვს პროექტის ხელმძღვანელის ზედამხედველობით მონაწილეობა მიიღოს განხორციელებულ პროექტებში და განავითაროს კვლევითი უნარ–ჩვევები. სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: Science Direct;• Scopus• Web of Science• 26 Cambridge Journals• IMF e-library• Sage Journals• e-elgar.com• Duke University Press• Heinonline• სამართლისა და საერთაშორისო ფაკულტეტის ბაზაზე არსებობს დიპლომატიური ლაბორატორია, სადაც სტუდენტები კვალიფიციური აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელმძღვანელობით სასწავლო კურსების გარდა აქტიურად მონაწილეობენ ამ ერთეულების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან; o მატერიალური/ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; o წიგნადი ფონდის ფლობის დამადატურებელი დოკუმენტაცია; o ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები დასილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბიუჯეტი იქმნება სხვადასხვა პროგრამების სტუდენტების სწავლების გადასახადისა და სხვადასხვა შემოსავლებისაგან. პროგრამის ბიუჯეტი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის. ბიუჯეტი სათანადოდ არის გაწერილი და მასში გათვალისწინებულია მოსალოდნელი შემოსავლები. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა სასწავლო და კვლევითი პროექტებისათვის მოითხოვოს თანხები, რაც მეტწილად მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან. პროგრამისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები (ლიტერატურის შეძენა, კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ.) ასევე უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან იფარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის ბიუჯეტი; o ინტერვიუ უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუების პროცესით გამოიკვეთა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, შესაბამის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომელიც ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების პროცესების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხარისხის შეფასებასა და გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“, რომელიც თავისმხრივ მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

I. **დაგეგმე** - საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ხდება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, რომელშიც უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები არიან ჩართულნი. ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.

გამოიკვეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

II. **განახორციელე** - როგორც ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრებისას დადგინდა, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პერიოდულობა. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან წარმოდეგნილი იყო შესაბამისი გამოკითხვების ანალიზი, თუმცა დოკუმენტებში არ იყო მითითებული ჩატარებული გამოკითხვებისა და განხორციელებული ანალიზის პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფისთვის რთული დასადგენი აღმოჩნდა, თუ რა პერიოდულობით ხდება დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები და მათი გაანალიზება. სასურველია, მსგავსი ტიპის საკითხების დოკუმენტირებისას მიეთითოს თარიღები, რაც საშუალებას მისცემს შემფასებლებსა და ჩართულ პირებს, მოახდინოს ჩატარებული გამოკითხვებისა და ანალიზის პერიოდის იდენტიფიცირება.

III. **შეაფასე** - ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტის პერიოდული მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება არა არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები/კომპონენტები, არამედ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მატერიალურ- ტექნიკური ბაზა.

შეფასებებისთვის შემუშავებული შესაბამისი კითხვარები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, თავიანთი მოსაზრება დააფიქსირონ როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური რესურსის შესახებ, ანონიმურობის სრული დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით შექმნილი საფაკულტეტო კომისიები ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას.

ინსტიტუცია აქტიურად იყენებს ლექციების პროცესზე დასწრების მექანიზმს, რომლის მიმდინარეობასაც ასახავს შესაბამის ოქმებში და საჭიროების შემთხვევაში აცნობს ჩართულ სტრუქტურულ ერთეულს.

IV. **განავითარე** - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების

ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თუმცა ნაკლებად იკვეთება რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის ეტაპი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასების პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, თუმცა სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდონით, ანალიზის წარმოების შემდეგ, მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული ან დაგეგმილი რეაგირებებიც.

შესაბამისად, სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან დამოუკიდებელ რეაგირების ანგარიშში.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მსგავსი ტიპის საკითხების დოკუმენტირებისას მიეთითოს თარიღები, რაც საშუალებას მისცემს შემფასებლებსა და ჩართულ პირებს, მოახდინოს ჩატარებული გამოკითხვებისა და ანალიზის პერიოდის იდენტიფიცირება.

- სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე

განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან დამოუკიდებელ რეაგირების ანგარიშში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილია გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება. გარე შეფასების ინსტრუმენტებს უსდ აქტიურად იყენებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ამისთვის ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან. პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო გარე შემფასებელმა (ექსპერტმა), პარტნიორი უნივერსიტეტიდან, რომელიც არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები. გარე შემფასებლის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამაზე მუშაობისას, მათ შორის წინაპირობების და ახალი სასწავლო კრუსების შესახებ გამოთქმული მოსაზრება გათვალისწინებულ იქნა პროგრამის საბოლოო პროექტში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. უნივერსიტეტი გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება უსდ-ს მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; o გარე შეფასების დოკუმენტი; o აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; o თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით და უნივერსიტეტში შემუშავებული და მოქმედი სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით შემდეგი აქტივობების/ღონისძიებების გამოყენებით:

ა) პროგრამის მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები პერიოდულად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების სახით.

ბ) ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები.

სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ხდება პროგრამის შედეგებისა და შემდგომი განვითარების საჭიროებების შესახებ კვლევა. აღნიშნული კითხვარები არის ანონიმური, რაც გამოკითხულ პირებს მეტ თავისუფლებას აძლევს, რომ თავიანთი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირონ.

წარმოებს სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვებს წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს, რაც მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათ შესაბამისობას უზრუნველყოფს.

გამოკითხვის შედეგების ანალიზს აკეთებს და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ანალიზის შედეგები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის.

სასურველია წარმოდგენილ ანგარიშებში მკაფიოდ იკვეთებოდეს თუ რა კუთხით მოხდა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გამოსწორება და რამდენად მოხმარდა ეს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

გ) ლექციებზე დასწრების პროცესის წარმართვა, რომელსაც ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იძლევა სხვადასხვა საგნების სწავლების ხარისხის შეფასების, ხარვეზების გამოვლენისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას საჭიროებების შემთხვევაში. სააუდიტორიო მუშაობის შეფასება და შეფასების შედეგები აღწერილია და ერთიანად იყრის თავს შესაბამის ოქმებში. დ) ინტერვიუების პროცესზეც დაფიქსირდა, რომ გარკვეული პერიოდულობით სრულდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ანალიზის შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების მიხედვით კი ხდება მიზეზების დადგენა. ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი აკადმიეური მოსწრების ანალიზი, რაც არ გვაძლევს საშუალებას დადასტურებულად მივიჩნიოთ ამ გამოკითხვების ჩატარება და დავადგინოთ მისი პერიოდულობა. აუცილებელია, ინსტიტუციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის კვლევა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი პერიოდულობით და მიღებული შედეგები გაანალიზდეს ერთიანი ანგარიშის სახით. ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას დასაქმებასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების ანალიზით დგინდება რამდენად მოთხოვნადია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე. ინსტიტუციამ წარმოადგინა შესაბამისი ანალიზი ამ მიმართულებით. ვ) პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მოწვეული) განვითარების ანალიზი და მათი მხრიდან განხორციელებული აქტივობები წარმოდგენილი იყო ანგარიშის სახით. ინსტიტუციის მხრიდან ცალკეული დოკუმენტის სახით არ იყო წარმოდგენილი ბენჩმარკინგი, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. არ განხორციელებულა ამ კუთხით სიღრმისეული ანალიზი. მხოლოდ საფაკულტეტო შეხვედრის ფარგლებში გაუღერდა, რაც ერთ-ერთ სხდომის ოქმში აისახა, თუმცა ეს არ არის საკმარისი ამ კუთხით სათანადო კვლევის ჩაატარებლად. აკრედიტაციის 5.3. სტანდარტი, რომელიც მოიცავს პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას, პირდაპირ მიუთითებს, რომ პერიოდულად უნდა ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ამიტომაც, რეკომენდებულია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დამოუკიდებელი ანგარიშის სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ინსტიტუციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის კვლევა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი პერიოდულობით და მიღებული შედეგები გაანალიზდეს ერთიანი ანგარიშის სახით.
- სასურველია დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ანგარიშებში მკაფიოდ იკვეთებოდეს თუ რა კუთხით მოხდა გამოკითხვებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გამოსწორება და რამდენად მოხმარდა ეს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45 გვ.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ივანნა მაჩიტიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ირაკლი მანველიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ ხატისაშვილი